



ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №160

2016 წლის 2 სექტემბერი

ქალაქი გორი

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის
დამტკიცების შესახებ

გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზოგიერთი მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანი ქონების რაიმე მიზნით გამოყენება, ხოლო ამ ქონების პრივატიზების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეივსება მათი ღირებულების შესაბამისი თანხით, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს აღნიშნული ქონების პრივატიზაცია, რისთვისაც საჭიროა დამტკიცდეს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართი 1-ის (თან ერთვის 1 (ერთი) ფურცელი) შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე



ილია მეტრეველი

მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხა

№	მარკა, მოდელი	ტიპი	სახელმწიფო #;	ძრავის საიდენტიფიკაციო #	გამოშვების თარიღი
1	VAZ 2121	მაღალი გამავლობის	11731JJ	0474816	1978
2	VOLKSWAGEN JETTA 1.6 KAT	სედანი	11643JJ	BLF227504	2006